

## დანართი 2

### სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქცია

1. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისაღებად ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი“ (შემდგომში „უნივერსიტეტის/ქართული უნივერსიტეტის“) სტუდენტმა სასწავლო კომპონენტებთან ერთად უნდა შეასრულოს კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი;
2. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ქართული უნივერსიტეტის შესაბამისი მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული ან ასისტენტ პროფესორი) ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტი.
3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია ზედამხედველობა გაუწიოს მაგისტრანტის მუშაობის პროცესს, სისტემატურად მისცეს მას სათანადო კონსულტაციები;
4. სტუდენტისთვის სამაგისტრო თემის და ხელმძღვანელის დამტკიცება ხდება სტუდენტის შესაბამისი განცხადებისა და ხელმძღვანელის თანხმობის საფუძველზე შესაბამისი სკოლის საბჭოს მიერ სასწავლო სემესტრის დაწყებამდე.
5. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება  
სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურაში გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი კომპონენტები:
  - *სატიტულო ფურცელი;*
  - *ანოტაცია;*
  - *სარჩევი;*
  - *შესავალი*- რომელშიც მოცემული იქნება შესასწავლი საკითხის აქტუალობა, დასახული მიზანი, გამოყენებული კვლევის მეთოდი, ნაშრომის სტრუქტურისა და მიღებული შედეგების აღწერა;
  - *ტექსტის ძირითადი ნაწილი* - რომელშიც, უშუალოდ დასახული მიზნიდან გამომდინარე, განხორციელდება კვლევა და ანალიზი; ტექსტის ძირითადი ნაწილი უნდა დაიყოს თავებად და (თუ საჭიროა) პარაგრაფებად.
  - *დასკვნა*- რომელშიც პასუხი გაეცემა შესავალში დასახულ მიზანს და გამოიკვეთება კვლევის შედეგები;
  - *გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;*
  - *დანართები* (საჭიროების შემთხვევაში) - დანართში შეიძლება განთავსდეს მონაცემთა ცხრილები, ნახაზები, პროგრამები, გაანგარიშებები, დიაგრამები და ა.შ.

ფურცლის ზომა უნდა იყოს A4, არეები 2 სანტიმეტრი.



ძირითადი ტექსტის ზომა უნდა იყოს 11 pt, სტრიქონებს შორის მანძილი 1.5 pt. ქართული ტექსტი უნდა იყოს სტანდარტულ Unicode ფონტით (მაგალითად Sylfaen), ინგლისური ტექსტი Arial ან Times New Roman. თავის სათაურის შრიფტი უნდა იყოს მუქი (Bold), 14 pt. პარაგრაფის სათაურის შრიფტი უნდა იყოს მუქი (Bold), 12 pt. თავის და პარაგრაფის სათაურის შემდეგ უნდა იყოს გამოტოვებული ინტერვალი (მაქსიმუმ 15 pt).

**სატიტულო ფურცელი** წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის პირველ გვერდს და იგი უნდა შეივსოს მკაცრად განსაზღვრული წესის მიხედვით.

ფურცლის ზემოთ უნდა მიეთითოს უმაღლესი სასწავლებლისა და სკოლის სრული დასახელება, სადაც სრულდება სამაგისტრო ნაშრომი;  
შემდეგ უნდა დაიწეროს მაგისტრანტის სახელი და გვარი;  
სახელის და გვარის ქვემოთ იწერება „სამაგისტრო ნაშრომი“.  
შემდეგ უნდა დაიწეროს თემის დასახელება.  
შემდეგ ეთითება კვალიფიკაციის დასახელება (საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით), რომლის მოსაპოვებლად არის წარდგენილი ნაშრომი დასაცავად;  
შემდეგ უნდა მიეთითოს სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი და გვარი, სამეცნიერო წოდება და სამეცნიერო ხარისხი;  
ქვემოთ იწერება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ადგილი და მისი წარდგენის წელი  
(იხ. წინამდებარე ინსტრუქციის დანართი 1 ).

**ანოტაცია** უნდა შეიცავდეს უნდა ასახავდეს სამაგისტრო ნაშრომის ძირითად შედეგებს. ანოტაციის ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს 150 სიტყვას და უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ და ინგლისურ ენებზე. ინგლისური ანოტაცია უნდა შეიცავდეს ავტორის სახელს, გვარს, თემის დასახელებას და ხელმძღვანელს.

**სარჩევში** უნდა აისახოს სამაგისტრო ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა თუ პარაგრაფის დასახელება გვერდების ნომრების მითითებით.

**გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში** უნდა აისახოს მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა და წყაროები;

წიგნის მითითებისას ზუსტად უნდა მიეთითოს ავტორ(ებ)ის გვარი და ინიციალები, წიგნის სახელწოდება, გამოცემის ადგილი და წელი, საჭიროების შემთხვევაში - გვერდები.

სამეცნიერო სტატიის დამოწმებისას უნდა მიეთითოს ავტორ(ებ)ის გვარი და ინიციალები, ჟურნალის სახელწოდება, ტომი, ნომერი, წელი, საჭიროების შემთხვევაში - გვერდები.

ტექსტში ლიტერატურის ციტირება უნდა წარმოებდეს: ა) ძირითად ტექსტში კვადრატულ ფრჩხილებში (მაგ.: [27]) ან ჩვეულებრივ ფრჩხილებში ავტორი, პუბლიკაციის თარიღი, ციტატის გვერდი, მაგ. (აბაშიძე 2012: 25). ციტირებული

ლიტერატურის ნუსხა უნდა იქნას მოყვანილი ნაშრომის ბოლოს; ბ) ციტირებული ლიტერატურა შეიძლება განთავსდეს სქოლიოს სახით გვერდის ბოლოს, შრიფტის ზომა 10 pt.

სამაგისტრო ნაშრომების შეფასებისთვის იქმნება სპეციალური დარგობრივი კომისია. კომისიის შემადგენლობას სკოლის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. კომისია უნდა შედგებოდეს სულ მცირე 3 წევრისაგან და ჰყავდეს თავმჯდომარე და მდივანი. შეფასების კომისიის წევრი შეიძლება იყოს ქართული უნივერსიტეტის შესაბამისი მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული ან ასისტენტ პროფესორი) ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტი.

6. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვამდე (XIII - XIV კვირა) ნაშრომი უნდა იყოს წარმოდგენილი სტუდენტის მიერ. ამ ეტაპზე წინასწარი განხილვისათვის არ არის აუცილებელი ნაშრომის აკინძული სახით წარმოდგენა.
7. სკოლის საბჭოს სხდომაზე ხდება სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის გამოყოფა. რეცენზენტი შეიძლება იყოს ქართული უნივერსიტეტის შესაბამისი მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი) ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტი. რეცენზენტს სამაგისტრო ნაშრომი სარეცენზიოდ უნდა გადაეცეს დაცვამდე არანაკლებ 15 დღით ადრე XVI კვირაში აკინძული სახით. რეცენზენტი დაცვამდე 5 დღით ადრე წარმოადგენს რეცენზიას წერილობითი ფორმით (დანართი 2). ამ ეტაპზე რეცენზენტი წერს მხოლოდ მის დასკვნას, თუმცა არ აფასებს მაგისტრანტს ქულებით. რეცენზენტი ვალდებულია მაგისტრანტს გააცნოს თავისი რეცენზია სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე 5 დღით ადრე მაინც.
8. რეცენზენტი ესწრება ნაშრომის საჯარო დაცვას, დასკვნას საჯაროდ აცნობს კომისიას და კომისიასთან ერთად აფასებს სტუდენტს. შეფასება წარმოებს დანართ 2-ში განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.
9. შეფასების კომისიას უნდა წარედგინოს აკინძული ერთი ეგზემპლარი სამაგისტრო ნაშრომი ელექტრონულ ვერსიასთან ერთად CD დისკზე ჩაწერილი. ხელმძღვანელის დასკვნა და რეცენზენტის რეცენზია.
10. ნაშრომის საჯარო დაცვის რეგლამენტი განისაზღვრება 15-20 წუთით. დაცვის პროცესში სტუდენტს შეუძლია საილუსტრაციო მასალის გამოყენება; ნაშრომს რეცენზენტთან ერთად აფასებენ კომისიის წევრები. შეფასება წარმოებს დანართ 2-ში განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება წარმოადგენს კომისიის წევრების შეფასებების არითმეტიკული საშუალოსა და რეცენზენტის შეფასების ჯამს.
11. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დღეს დგება დეტალური ოქმი, სადაც, მიმდინარე განხილვის ასახვასთან ერთად არის დაფიქსირებული კომისიის წევრების შეფასებათა არითმეტიკული საშუალო, რეცენზენტის შეფასება და ჯამური შეფასება.
12. გათვალისწინებულია შემდეგი სახის შეფასებები:



**ა. ხუთი სახის დადებითი შეფასება:**

- ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა;

**ბ)ორი სახის უარყოფითი შეფასება:**

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა; მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას

შენიშვნა: უნივერსიტეტის რომელიმე მიმართულების სპეციფიკიდან გამომდინარე დასაშვებია სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის და სამაგისტრო საკვალიფიკაციო კომისიის შეფასებათა წარმოდგენილ სქემებში შესაბამისი სკოლის მიერ შეტანილ იქნას დამატებითი კომპონენტები.



ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი“

სკოლის დასახელება

სტუდენტის სახელი, გვარი

სამაგისტრო ნაშრომი

თემის დასახელება

კვალიფიკაციის კოდი

კვალიფიკაციის დასახელება

ხელმძღვანელი: სახელი, გვარი

სამეცნიერო ხარისხი, წოდება

თბილისი 20—

## დანართი 2

## სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტების შეფასების კრიტერიუმები

რეცენზენტის შეფასების კრიტერიუმები:

ნაშრომის ფორმალური მხარე - მაქსიმუმ 5 ქულა.

5 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა, გაფორმებისა და ტექსტის დაკაზმობის წესი სრულად შეესაბამება სტანდარტს.
4 ქულა	ნაშრომის გაფორმება შეესაბამება სტანდარტს.
3 ქულა	ნაშრომის გაფორმება ძირითადად შეესაბამება სტანდარტს .
2 ქულა	ნაშრომის გაფორმება ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტს.
1 ქულა	ნაშრომის გაფორმებაში არის მნიშვნელოვანი შეუსაბამობები
0 ქულა	ნაშრომის გაფორმება არ შეესაბამება სტანდარტს.

მიზნისა და ამოცანების განსაზღვრა მაქსიმუმ 10 ქულა.

9-10 ქულა	საკვლევი თემის მიზანი და ამოცანები ლოგიკურია და კარგად მოტივირებული
6-8 ქულა	საკვლევი თემის მიზანი და ამოცანები გამოკვეთილია და მოტივირებული
4-5 ქულა	საკვლევი მიზანი და ამოცანები არ არის სათანადოდ გამოკვეთილი და მოტივირებული
1-3 ქულა	საკვლევი მიზანი და ამოცანები ზედაპირულად არის მოტივირებული
0 ქულა	საკვლევი თემის მიზანი და ამოცანები არ არის მოტივირებული

ფაქტობრივი მასალის ფლობა და გადმოცემის თანმიმდევრულობა. მაქსიმუმ 25 ქულა.

20-25	მაგისტრანტი საფუძვლიანად იცნობს თემის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო
-------	--



ქულა	ლიტერატურას. მსჯელობა თანმიმდევრულია და ლოგიკური.
15-19 ქულა	მაგისტრანტი კარგად იცნობს თემის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას. მსჯელობა თანმიმდევრულია და ლოგიკური.
10-14 ქულა	მაგისტრანტი იცნობს თემის ირგვლივ არსებულ ძირითად სამეცნიერო ლიტერატურას. ორ-სამ შემთხვევაში დარღვეულია მსჯელობის თანმიმდევრულობა და ლოგიკურობა.
5-9 ქულა	მაგისტრანტი ნაწილობრივ იცნობს თემის ირგვლივ არსებულ ძირითად სამეცნიერო ლიტერატურას. ნაწილობრივ დარღვეულია მსჯელობის თანმიმდევრულობა და ლოგიკურობა.
1-4 ქულა	მაგისტრანტის მიერ დამუშავებული სამეცნიერო ლიტერატურა მწირია. ხშირ შემთხვევაში დარღვეულია მსჯელობის თანმიმდევრულობა და ლოგიკურობა.
0 - ქულა	მაგისტრანტი არ იცნობს თემის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას. მსჯელობა არ არის თანმიმდევრული და ლოგიკური.

არგუმენტაციისა და დასკვნის უნარი - მაქსიმუმ 20 ქულა.

18-20 ქულა	მაგისტრანტის მოსაზრებები კარგად არგუმენტირებულია, დასკვნები - ლოგიკური და დამაჯერებელი.
14-17 ქულა	მაგისტრანტის მოსაზრებები არგუმენტირებულია, დასკვნები - ძირითადად ლოგიკური და დამაჯერებელი.
10-13 ქულა	მაგისტრანტის მოსაზრებები არგუმენტირებულია, თუმცა არის გარკვეული ნაკლოვანებები, დასკვნები - ძირითადად ლოგიკურია და დამაჯერებელი.
5-9 ქულა	მაგისტრანტის მოსაზრებები ზედაპირულად არის არგუმენტირებული, დასკვნები - ნაწილობრივ ლოგიკური.
1-4 ქულა	მაგისტრანტის მოსაზრებები ძირითადად არაარგუმენტირებულია, დასკვნები - ძირითადად არალოგიკურია.
0 - ქულა	მაგისტრანტის მოსაზრებები არ არის არგუმენტირებული, დასკვნები - ალოგიკურია და არადამაჯერებელი.

**სამაგისტრო ნაშრომის კომისიის მიერ შეფასების კრიტერიუმები:**

კვლევისა და ანალიზის შესაბამისობა მიზანთან - მაქსიმუმ 20 ქულა;



18-20 ქ.	კვლევა სრულიად მიზნობრივია, ანალიზი სრულფასოვანია
14-17 ქ.	კვლევა მიზნობრივია, ანალიზი კარგადაა ჩატარებული
10-13 ქ.	კვლევა ძირითადად მიზნობრივია, ანალიზი დამაკმაყოფილებელია
5-9 ქ.	კვლევა ნაწილობრივ მიზნობრივია, ანალიზი ჩატარებულია ხარვეზებით
1-4 ქ.	კვლევა ნაკლებად მიზნობრივია, ანალიზი ჩატარებულია მნიშვნელოვანი ხარვეზებით
0 ქ.	კვლევა არამიზნობრივია, ანალიზი არაა ჩატარებული

ნაშრომის გაფორმება და პრეზენტაციის დიზაინი - მაქსიმუმ 5 ქულა

5 ქ.	ნაშრომის გაფორმება შეესაბამება სტანდარტს; პრეზენტაციის დიზაინი ორიგინალური და ეფექტურია.
4 ქ.	ნაშრომის გაფორმება შეესაბამება სტანდარტს; პრეზენტაციის დიზაინი ეფექტურია.
3 ქ.	ნაშრომის გაფორმება ძირითადად შეესაბამება სტანდარტს; პრეზენტაციის დიზაინი შესაბამისია.
2 ქ.	ნაშრომის გაფორმება ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტს; პრეზენტაციის დიზაინი ნაწილობრივ დამაკმაყოფილებელია.
1 ქ.	ნაშრომის გაფორმება ნაკლებად შეესაბამება სტანდარტს; პრეზენტაციის დიზაინი სუსტია.
0 ქ.	ნაშრომის გაფორმება არ შეესაბამება სტანდარტს; პრეზენტაციის დიზაინი შეუსაბამოა ან საერთოდ არ ახლავს ნაშრომს.

არგუმენტაციისა და დასკვნის უნარი, კითხვებზე პასუხის გაცემა - მაქსიმუმ 15 ქულა.

13-15 ქულა	მსჯელობა გამართული და დამაჯერებელია. თემის შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია ამომწურავად. დასკვნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული.
9-12 ქულა	მსჯელობა სათანადო დონეზეა. დასკვნები მისაღებია.
7-9 ქულა	მსჯელობა არასრულია. დასკვნები მოიცავს უმნიშვნელო ხარვეზებს
4-6 ქულა	მსჯელობა ნაკლოვანია და ფრაგმენტული, დასკვნები ხარვეზებით არის წარმოდგენილი
1-4 ქულა	მსჯელობა საკითხს ნაკლებად შეესაბამება. დასკვნები ნაკლებად დამაჯერებელია.





0 - ქულა	მსჯელობა და დასკვნები არადამაკმაყოფილებელია.
-------------	--